ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის

მიხეილ კაკაურიძის

2023-2024 წლის ანგარიში

- **საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:**
- ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრის რანგში გაწეული საქმიანობისას 12 სხდომაში მიიღო მონაწილეობა და 93 საკრებულოში შემოსულ საკითხთთან მიმართებაში მათი შესწავლის შედეგად დააფიქსირა საკუთარი ხედვები, ხოლო შესაბამის მერიის სამსახურთან თანამშრომლობით საკრებულოში განსახილველად შემოტანილი საკითხების ანალიზიდან გამომდინარე სათანადო წინადადებები მოამზადა, რომელთა უდიდესი ნაწილის გათვალისწინება არ მოხდა.

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრის რანგში გაწეული საქმიანობისას18 სხდომაში მიიღო მონაწილეობა და 246 საკითხის შესწავლა მოახდინა რაზეც სატანადო პოზიციები დააფიქსირა თავად სდომების მიმდინარეობისას და საკრებულოს სხდომაზეს შევიდა სათანადო წინადადებებით, სამწუხაროდ უმეტესწილად არ იქნა დაკმაყოფილებული.

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფრაქციო წევრის რანგში გაწეული საქმიანობისას მოსახლეობისგან წამოსული წინადადებების და განცხადებების შესწავლა მოახდინა და შესაბამისი შუამდგომლობები დააყენა მერიის შესაბამის სტრუქტურებთან მიმართებაში, რომელთა შორის დაკმაყოფილება/გადაწყვეტა მოხერხდა სამწუხაროდ მცირე ნაწილის.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობისას მონაწილეობა მიიღო 8 სხდომაში, პოლიტიკური ბოიკოტის რეჟიმში იყო დანარჩენ საკრებულოს ოპოზიციონერ წევრებთან ერთად და არ დაესწრო 6 სდომას. შეისწავლა ყველა შემოსული საკითხი, რაზედაც რაზედაც საკრებულოს 256 დადგენილება იქნა მიღებული, ხოლო მუნიციპალური გამოწვევების გადასაწყვეტად დააყენა არაერთი წინადადება/ინიციატივა საკრებულოს დადგენილების პროექტების ინიციირების ჩათვლით. მაგალითისთვის საკრებულოს დადგენილებების პროექტები იქნა ინიციირებული განაშენიანების რეგულირების გეგმით პროექტის განმხორციელებლის მიმართ ვალდებულებების წარმოქმნა საზ. ტრანსპორტის მოსაცდელებისა და ნარჩენების შემკრები მიწისქვეშა ბუნკერების განთავსების თაობაზე, ასევე ნებისმიერი ფუნქციური ზონების ცვლილებისას ფასთასხვაობის ბიუჯეტში შეტანის თაობაზე,

- 2023 წლის 1 ნოემბრიდა 2024 წლის 25 ოქტომბრამდე სამ ათეულზე მეტ საზოგადოებრივ თავყრილობაში მიიღო მონაწილეობა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების, ქვეყნის ევროპული განვითარების და მუნიციპალური გამოწვევების გადაწყვეტის მიზნით, ხოლო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად /ორგანიზებულად/თანამედროვე სტანდარტებით ჩატარების მიზნით უხელმძღვანელა ქალაქ თბილისის ფაქტიურად ყველაზე დიდი რაიონის-გლდანის რაიონის ,,ძლიერი საქართველოს“ საარჩევნო შტაბს.

- **საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია**

  მომზადებული და ინიციირებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის N 14-39 ცვლილებების თაობაზე, კონკრეტულად განაშენიანების რეგულირების გეგმით პროექტის განმხორციელებლისას განმხორციელებლის მიმართ ვალდებულებების წარმოქმნა საზ. ტრანსპორტის მოსაცდელებისა და ნარჩენების შემკრები მიწისქვეშა ბუნკერების განთავსების თაობაზე, ასევე ნებისმიერი ფუნქციური ზონების ცვლილებისას ფასთასხვაობის ბიუჯეტში შეტანის თაობაზე,

- **ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:**

  თბილისის მოსახლეობასთან წერილობითი და ზეპირი ურთიერთობების შედეგად ხდება ძირფესვიანად საკითხის შესწავლა ადგილზე დათვალიერებითა და გასაუბრებით, რის შემდგომ მზადდება შუამდგომლობები შესაბამის მუნიციპალურ და სახელმწიფო დაწესებულებებზე, ხოლო თუ შესაძლებელია ოპერატიულობის თვალსაზრისით ზეპირი ინფორმირებულობითა და კონსულტაციებით წყდება საკითხი.

- **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია:**

- გლდანის რაიონის გამგეობაზე სკვერისა და სპორტული მოედნების რეაბილიტაციის, ბუჩქობანი და ხემცენარეების ფორმირების, საცალფეხო ბილიკებისა და კიბეების მოწყობის თაობაზე;
- საკრებულოს სახელებისა და სიმბოლიკის კომისიას ქუჩების გადარქმევის კრიტერიუმების შემუშავების, აბრებზე ქიუარ კოდების განთავსების,გაორებული სახელდებების დაზუსტება-აღმოფხვრის, მემორიალური დაფების სტანდარტების შემუშავება და აღრიცხვა-რეაბილიტაცია;
- ქ.თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურზე კონკრეტული სივრცეების ასფალტირების აუცილებლობის სესახებ და ასფალტირებისას აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე;
- ტრანსპორტისა და ურბანული განვითარევბის სააგენტოს ხიზანიშვი-ვეკუას ქუჩების რეაბილიტაციისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე;
- თბილისის მერიას ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისა და ხელსემწყობი ღონისძიებების გატარების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაორგანიზების თაობაზე განსაკუთრებული ხალხმრავალი ღონისძიებების შემდგომ თაობაზე;

საკრებულოს წევრი *მიხეილ კაკაურიძე*